ანგარიში არ გახსნილა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 26 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) – 0:0.

“თბილისი: ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა (ჩოხელი), ხოჭოლავა, კილაძე, რამიშვილი, ჭკუასელი, გაგნიძე, ღოღობერიძე, იამანიძე, მესხი.

კიევი: ლემეშკო, სობოლევი, ეროხინი, პოპოვიჩი, ვოინოვი, იუსტი, გრამატიკოპულო, ტერენტიევი, კამენსკი, კომანი (კორშუნოვი), ფომინი.

მსაჯი: კ. დემჩენკო (მოსკოვი).

გუშინდელ მატჩს კიევისა და თბილისის დინამოელთა შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის. განსაკუთრებით საჭირო იყო ორი ქულა თბილისელთათვის, რომლებიც სწორედ კიევის “დინამოს” შემდეგ იმყოფებიან გათამაშების ცხრილში.

მატჩის პირველი 15 წუთი მეტად მძაფრ ურთიერთშეტევებში მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგეთა სამოქმედო გეგმა თითქმის ერთგვარი იყო: როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები თავიანთ ძირითად შემტევ ოპერაციებს მარჯვენა ფლანგიდან აწარმოებდნენ, სადაც ხშირად იგზავნებოდა ბურთი ჭკუასელისა და გრამატიკოპულოს მისამართით. კიეველების ამ ტაქტიკურ ვარიანტს სრული გამართლება ჰქონდა, ვინაიდან ძლიერ მარჯვენა ფრთას რეგულარულად ერთვოდა ვოინოვი და ზოგჯერ ფომინიც და ასეთ გაძლიერებულ შეტევას სულ ადვილად შეიძლებოდა გოლი მოჰყოლოდა.

თბილისელთა ფლანგური იერიშები, თუ შეიძლება ითქვას, უფრო იძულებითი ხასიათისა იყო, ვინაიდან მესხი ამ დღეს ერთობ ინერტულად იყო განწყობილი და არც ცდილა რამდენადმე მაინც აეღო თავის თავზე ინიციატივა.

15 წუთის დაძაბული ბრძოლის შემდეგ თანდათან გამომჟღავნდა თბილისელთა ტერიტორიული უპირატესობა და კიეველთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა, სადაც მცველმა და მეკარე ლემეშკომ მეტად ძნელ მდგომარეობაში შეძლეს საშიშროების ლიკვიდაცია.. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მასპინძელთა იერიშები სულ უფრო მძლავრ ხასიათს ღებულობდა, თავდამსხმელები გადავიდნენ მოკლე, განივ გადაცემებზე. ბურთის განუწყვეტელი მოძრაობა ერთი მოთამაშიდან მეორისაკენ (და ხშირად მოწინააღმდეგისკენაც), მისი ზედმეტი ტარება, სხვადასხვა უსარგებლო ტრიუკები აჩერებდა თამაშის ტემპს, ანელებდა შეტევის სიმწვავეს და საშუალებას აძლევდა სტუმრებს წარმატებით მოეხდინათ სათანადო გადაჯგუფებანი დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზებში.

პირველ 45 წუთს შედეგი არ მოჰყოლია – 0:0. მეორე ტაიმის დასაწყისში ჭკუასელი კარგად გავიდა მარჯვენა მხრიდან და შესანიშნავად გადასცა ბურთი ცენტრში, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა კიეველთა გარდა. ცოტა ხანში ზუსტად იმავე ადგილზე გაიჭრა გაგნიძე და ძლიერად დაარტყა კარში. ლემეშკომ შეძლო ძნელი ბურთის აღება.

მალე თბილისელთა თამაშში ისევ თავი იჩინა არაზუსტმა გადაცემებმა, ბურთის ხშირმა გაჩერებამ. სისტემატურად ტოვებდა თავის ადგილს მარჯვენა ნახევარმცველი კილაძე და იყო ეს საჭირო თუ არა, გადიოდა წინ. კიეველები მაშინვე აძლევდნენ ბურთს თავისუფლად დარჩენილ მოთამაშეს და ყოველ ასეთ შემთხვევაში მასპინძელთა დაცვა მცირერიცხოვანი ძალებით ებრძოდა მოწინააღმდეგეს და განმეორებითი შეტევა სტუმართა კარზე საგრძნობი ხნით იგვიანებდა.

გავიდა 20–25 წუთი და თამაშმა დაკარგა ინტერესი, ბურთი იშვიათად აღწევდა საჯარიმო მოედანს, ხშირად გადიოდა ხაზს გარეთ ან კარს იქით.

სურათი არ შეცვლილა გონგის შემდეგაც. მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს შედეგის მიღწევა და მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

დუბლიორთა შეხვედრა, რომელიც შედგა 25 ოქტომბერს მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2:0.

“ლელო”, 27 ოქტომბერი, 1957 წ.